სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურის უფროსს

ქალბატონ ნინო ღოღობერიძეს

ქ. თბილისში კრწანისის ქ. #14-ში,

კორპუსი #2-ის მობინადრის

თამარ ბარნაბიშვილის

განცხადება

მოგახსენებთ, რომ რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჩვენი საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე იგეგმება კაფეტერიის მოწყობა. კაფეტერიის გამწოვი მილის მოწყობა იგეგმება ლიფტის შახტის უკანა კედელზე, რომელიც მდებარეობს ჩემს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინების (საკადასტრო კოდი: 01.18.06.018.048.02.01.043; 01.18.06.018.048.02.01.043ა) საძინებლების მხარეს და მათ უშუალო სიახლოვეს. გამომდინარე იქედან, რომ გახლავართ კორპუსის ბოლო სართულის მაცხოვრებელი და კუთვნილი ფართის ტერიტორიაზე მოწყობილი მაქვს ღია ტერასა, რაც პირდაპირ მოექცევა გამწოვი მილიდან გამოსული მავნე აირების (თამბაქოს გამონაბოლქვი, საკვები პროდუქტების მომზადებისას გამოყოფილი აირები, და ა.შ.) და უსიამოვნო სუნის მავნე ზემოქმედების ქვეშ, გთხოვთ ჩამრთოთ როგორც დაინტერესებული მხარე აღნიშნული გამწოვი მილის ნებართვის გაცემის პროცესში, რათა მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული ჩემი ოჯახის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის, ასევე საკუთრებით სარგებლობის კანონიერი ინტერესები.

პატივისცემით,

თ. ბარნაბიშვილი /თ. ბარნაბიშვილი/

საკონტაქტო ნომერი: 579 121212 ან 571 120000.

06.04.2015.